

„დამტკიცებულია“ შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“

სამეთვალყურეო საბჭოს 2022 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილებით

სხდომის ოქმი N2



შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“

აუდიტის კომიტეტის დებულება

წინამდებარე დებულება განსაზღვრავს შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“-ს (შემდგომში „კომპანია“) აუდიტის კომიტეტის (შემდგომში „კომიტეტი“) მანდატს, საქმიანობის მიმართულებებს და პროცედურებს, მათ შორის კომიტეტის სამეთვალყურეო საბჭოსთან (შემდგომში „სამეთვალყურეო საბჭო“) ანგარიშგებას, კომიტეტის წევრობასთან დაკავშირებულ შეზღუდვებს, კომიტეტის წევრთა როლებისა და ფუნქციების შესახებ საკითხებს.

1. წევრობა

- 1.1. „კომიტეტი“ წარმოადგენს დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულს და ანგარიშვალდებულია „სამეთვალყურეო საბჭოს“ წინაშე;
- 1.2. „კომიტეტი“ არის სამეთვალყურეო საბჭოს ქვეკომიტეტი, რომელიც შედგება არანაკლებ 2 (ორი) წევრისგან;
- 1.3. „სამეთვალყურეო საბჭო“ „კომიტეტის“ წევრებს საჭირო სპეციალიზებული უნარებისა და გამოცდილების გათვალისწინებით უნდა ნიშნავდეს. „კომიტეტის“ არანაკლებ ორ წევრს უნდა ჰქონდეს ფინანსური ანგარიშგების ანალიზის უნარი და შესაბამისი გამოცდილება ფინანსურ, ეკონომიკურ, აუდიტორულ ან/და სხვა დაკავშირებულ სფეროებში.
- 1.4. „კომიტეტის“ თავმჯდომარე (შემდგომში „თავმჯდომარე“) უნდა იყოს დამოუკიდებელი წევრი და იმავდროულად არ უნდა იყოს „სამეთვალყურეო საბჭოს“ ან/და რომელიმე სხვა კომიტეტის თავმჯდომარე.
- 1.5. საწარმოს მიმდინარე აუდიტის განმახორციელებელი ფირმის/აუდიტორის ყოფილი პარტნიორი ან დირექტორი არ უნდა იყოს საწარმოს აუდიტის კომიტეტის წევრი.
- 1.6. „კომიტეტის“ წევრი არ უნდა იყოს კომპანიაში არსებული სხვა ერთზე მეტი კომიტეტის წევრი.
- 1.7. კომიტეტის საქმიანობაში ახალი ხედვებისა და მიმართულებების წახალისების საჭიროების შემთხვევაში, გონივრული პერიოდულობით უნდა განხორციელდეს კომიტეტის თავმჯდომარესა და წევრთა შემადგენლობის ცვლილება.

2. „კომიტეტის“ სხდომა და ხმის მიცემა

- 2.1. „კომიტეტი“ იკრიბება წელიწადში ოთხჯერ, ასევე ნებისმიერ დროს აუცილებლობის შემთხვევაში. კომიტეტის შეხვედრები წინ უძღვის სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებს.
- 2.2. „კომიტეტის“ სხდომა მოიწვევა „კომიტეტის“ ან „კომპანიის“ მართველობითი ორგანოს რომელიმე წევრის მოთხოვნის საფუძველზე. გარკვეულ შემთხვევებში „კომიტეტის“ სხდომა შესაძლოა მოწვეულ იქნას „სამეთვალყურეო საბჭოს“ მიერ. „კომიტეტის“ სხდომის მოწვევის შესახებ შეტყობინება უნდა გაეგზავნოს თითოეულ წევრს ასეთი სხდომის გამართვის თარიღამდე არანაკლებ 3 (სამი) სამუშაო დღით ადრე. შეტყობინებები, სხდომის დღის წესრიგი და ნებისმიერი სხვა დამატებითი დოკუმენტი შესაძლებელია გაიგზავნოს ელექტრონული ფორმით;
- 2.3. „კომიტეტის“ სხდომაზე დასწრების უფლება აქვთ მხოლოდ „კომიტეტის“ წევრებს. მიუხედავად ამისა, აუცილებლობის ან მიზანშეწონილობის შემთხვევაში, „თავმჯდომარის“ თანხმობით, სხვა პირები შესაძლოა მიწვეულ იქნან სხდომაზე ან მის ნაწილზე დასასწრებად. საჭიროების შემთხვევაში, „კომიტეტს“ შეუძლია მოითხოვოს დირექტორთა, შიდა და გარე აუდიტორების და სხვა დაქირავებული პირების შეხვედრაზე დასწრება.
- 2.4. „თავმჯდომარის“ და მისი მოადგილის არყოფნის შემთხვევაში, „კომიტეტის“ დანარჩენი დამსწრე წევრები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ერთ-ერთ წევრს ირჩევენ სხდომის თავმჯდომარედ;
- 2.5. სათანადო წესების დაცვით მოწვეული „კომიტეტის“ სხდომა, რომელზეც შემდგარია კვორუმი, უფლებამოსილია განახორციელოს მასზე დაკისრებული უფლება-მოვალეობები. „კომიტეტი“

გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით. წევრებს შორის ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტა „თავმჯდომარის“ ხმა.

- 2.6. „კომიტეტის“ სხდომის ოქმს ადგენს „მდივანი“ და „თავმჯდომარესთან“ ერთად ხელს აწერს მას. ინტერესთა კონფლიქტის ან ნებისმიერი სხვა გონივრული საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, სხდომის ოქმის ხელმოწერის დელეგირება შესაძლებელია განხორციელდეს „კომიტეტის“ რომელიმე სხვა წევრზე;
- 2.7. იმ შემთხვევაში, როდესაც „კომიტეტის“ მიერ განსახილველი საკითხები შეიცავს ისეთ საკითხს, რომლის მიმართაც „კომიტეტის“ წევრს გააჩნია დადასტურებული ან პოტენციური ინტერესთა კონფლიქტი, ასეთი წევრი არ იღებს მონაწილეობას მასთან დაკავშირებული საკითხის განხილვაში ან/და გადაწყვეტაში და შესაბამისად, აღნიშნული წევრის ხმა არ იანგარიშება „კომიტეტის“ სხდომაზე კვორუმის დათვლისას.

3. კომიტეტის“ ფუნქციები და ვალდებულებები

3.1. „კომიტეტი“ ვალდებულია:

- ა) განსაზღვროს შიდა აუდიტისა და ფინანსური ანგარიშგების პოლიტიკა;
- ბ) მონიტორინგი გაუწიოს ფინანსური და არაფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესებს;
- გ) მონიტორინგი გაუწიოს და აქტიურად ითანამშრომლოს საწარმოს შიდა და გარე აუდიტორებთან;
- დ) შეაფასოს გარე აუდიტორის ეფექტიანობა, გამოთქვას მოსაზრება გარე აუდიტორთა კანდიდატურებთან დაკავშირებით, წარუდგინოს შესაბამისი რეკომენდაციები სამეთვალყურეო საბჭოს ან აქციონერებს/პარტნიორებს მათ კანდიდატურებთან, დანიშვნასთან, ანაზღაურებასთან ან გათავისუფლებასთან დაკავშირებით;
- ე) შეაფასოს შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის ეფექტიანობა და დამოუკიდებლობა;
- ვ) უზრუნველყოს შიდა და გარე აუდიტორების ფუნქციების ადეკვატურობა, დამოუკიდებლობა და ეფექტური ურთიერთთანამშრომლობა;
- ზ) განიხილოს გარე აუდიტორის მიერ მომზადებული სარეკომენდაციო წერილი და მონიტორინგი გაუწიოს დირექტორის მიერ არსებული ნაკლოვანებების გამოსწორების მიზნით შესაბამის ზომების გატარებას;
- თ) განიხილოს და სამეთვალყურეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინოს ჩასატარებელი შიდა აუდიტის ფარგლები და ჩატარების სიხშირე;
- ი) მიიღოს შიდა აუდიტის ანგარიშგებები და უზრუნველყოს საწარმოს დირექტორატის მხრიდან სათანადო ღონისძიებების დროულად გატარება აუდიტის პროცესში ან კონტროლის სხვა ფუნქციების მიერ იდენტიფიცირებული კონტროლის სისუსტეების, კანონმდებლობასთან შეუსაბამობის ან სხვა ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;
- კ) მონიტორინგი გაუწიოს საწარმოს საადრიცხო პოლიტიკისა და პრაქტიკის ჩამოყალიბებას;
- ლ) განიხილოს საწარმოს რისკების მართვის მთლიანი ჩარჩო და შიდა კონტროლის სისტემების ეფექტურობა და სტრუქტურა, მათ შორის, განიხილოს მესამე პირთა მოსაზრებები აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით;

ნ) მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების და რეკომენდაციების თაობაზე ანგარიში რეგულარულად წარადგინოს სამეთვალყურეო საბჭოს;

ო) წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშგებას წლიური და ნახევარწლიური ანგარიშგების პერიოდის შესაბამისად.

4. სხვა საკითხები

4.1. „კომიტეტი“ ანგარიშვალდებულია „სამეთვალყურეო საბჭოს“ წინაშე და აძლევს მას რეკომენდაციებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში ნებისმიერ სფეროში, სადაც „კომიტეტი“ ჩათვლის რომ არსებობს რაიმე ქმედების ან გაუმჯობესების საჭიროება;

4.2. „კომიტეტს“ უნდა გააჩნდეს საკმარისი რესურსი იმისთვის, რომ განახორციელოს დაკისრებული ვალდებულებები და საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლებში ზედამხედველობა გაუწიოს ქმედებების ინსპექტირების პროცესს;

4.3. „კომიტეტი“ უზრუნველყოფს საკუთარი საქმიანობის პერიოდული შეფასების ორგანიზებას;

4.4. „კომიტეტი“ უფლებამოსილია „სამეთვალყურეო საბჭოს“ მიერ და მას მინიჭებული აქვს მანდატი ა) საკუთარი უფლება-მოვალეობების შესასრულებლად მოიძიოს და გამოითხოვოს „კომპანიის“ ნებისმიერი თანამშრომლისგან ნებისმიერი სახის ინფორმაცია; ბ) „კომპანიის“ ხარჯზე მიიღოს კონსულტაცია ნებისმიერ პირისგან, როგორც ამას „კომიტეტი“ ჩათვლის საჭიროდ, მათ შორის სამართლებრივი ან სხვა სახის პროფესიული კონსულტაცია გარე წყაროსგან ნებისმიერ საკითხზე; გ) მოიწვიოს და გამოკითხოს „კომიტეტის“ სხდომაზე „კომპანიის“ ნებისმიერი თანამშრომელი, როდესაც „კომიტეტი“ ამას ჩათვლის საჭიროდ; დ) განახორციელოს საკუთარი უფლებებისა და ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი დელეგირება, ასევე საკუთარი შეხედულებისამებრ ჩამოაყალიბოს ქვეკომიტეტები;

4.5. კომიტეტის მიერ მიღებულ რეკომენდაციებსა და განხილვების შედეგებზე უნდა იწარმოებოდეს შესაბამისი ჩანაწერები კორპორაციული მდივნის ან მისი ფუნქციების განმახორციელებელი პირის მიერ.